სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #6

**ქ. თბილისი** **2022 წლის 05 დეკემბერი**

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

1.ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. ნინო ფარესაშვილი 4. ლელა ბახტაძე 5. მარინა მაისურაძე 6. დავით ნებიერიძე 7. საბა გოგიბერიძე 8. ილარიონ ფიფია 9. ელენე გაჩეჩილაძე 10. ლიკა წერეთელი 11. ილია თავხელიძე 12. ლია მაჭავარიანი 13. ნათელა არჩვაძე 14. ამირან ბიბილაშვილი 15. მარიამ ახალკაციშვილი 16. მაკა მურვანიძე 17. მარიამ ვარდოსანიძე 18. ვასილ ბერიძე 19. დავით შუბითიძე 20. მარინა გარიშვილი 21. მაია ივანიძე 22. გიორგი თუმანიშვილი 23. საბა ქვათაზე 24. თამარ ჯინჭარაძე 25. ხათუნა მაისაშვილი 26. ნათია სვანიძე 27. ალექსანდრე გაბაშვილი 28. კახა კუჭუხიძე 29. ვლადიმერ გამსახურდია 30. იზაბელა პეტრიაშვილი 31. თინა ქიტუაშვილი 32. ზურაბ ჩხაიძე 33. შალვა ფარულავა 34. გიორგი პატარაია 35. ასჰრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ 36. ანა ფაშაევა 37. კახაბერ ლორია 38. ანასტასია ზაქარიაძე 39. მანანა რუსიეშვილი 40. თეა ქარჩავა 41. ლერი თავაძე 42. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 43. ინგა სანიკიძე 44. გიორგი არქანია 45. საბა გიორგაძე 46. ნათია კორაშვილი 47. ლუკა მამალაშვილი 48. ზურაბ გაიპარაშვილი 49. ნინო პავლიაშვილი 50. ციური სუმბაძე 51. სოფიო ხუციშვილი 52. ლალი ახალბედაშვილი 53. ადა ნემსაძე 54. თეიმურაზ მაჩაიძე 55. თამილა ჩალაძე 56. გიორგი მამარდაშვილი 57. ედიშერ ფუტკარაძე 58. მარინა გურგენიშვილი 59. მარინე ხუციშვილი 60. ეთერ კაკულია 61. გვანცა გვანცელაძე 62. ნოდარ ლომიძე (დანართი 1)

**სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები:** 1. ჯაბა სამუშია 2. ზურაბ აბაშიძე 3. ნათელა ანანიაშვილი 4. მიხეილ ბახტაძე 5. ცისანა გავაშელი 6. მარინე ზაუტაშვილი 7. გია ლობჟანიძე 8. ვახტანგ მაღრაძე 9. ავთანდილ სილაგაძე 10. ოთარ ფურთუხია 11. ალექსანდრე ღონღაძე 12. თამაზ ყარალაშვილი 13. რევაზ შანიძე 14. თემურ შენგელია 15. მარინე ჩიტაშვილი 16. ალექსანდრე ცისკარიძე 17. მარი წერეთელი 18. მანანა ხაჩიძე 19. მამუკა ხუსკივაძე 20. გოჩა ფერაძე (დანართი 2)

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ახლადარჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას

თავმჯდომარეობდა სხდომის უხუცესი წევრი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ამირან ბიბილაშვილი.

**დღის წესრიგი:**

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება (მომხსენებელი: ვასილ ბარამიძე);
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დადასტურება (ცნობა) (მომხსენებელი: ამირან ბიბილაშვილი);
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის/სხდომის მდივნის არჩევა (მომხსენებელი: ამირან ბიბილაშვილი);
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევა (მომხსენებელი - ამირან ბიბილაშვილი);
5. “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის №44/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ნოემბრის №110/2022 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ირმა რატიანი);
6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: თამარ გაგოშიძე);
7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: დიმიტრი კორძაია);
8. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №136/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ნოემბრის №109/2022 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: თამარ წუწუნავა);
9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 1 685 ერთეული წიგნის ჩამოწერის საკითხი (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

**დღის წერიგი დამტკიცდა ერთხმად**

1.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვასილ ბარამიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების N100/2022 საფუძველზე გამოცხადდა სენატის არჩევნები და არჩევნების თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 28 ნოემბერი. სენატის არჩევნების ორგანიზების მიზნით თსუ-ის რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N338/01-01 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული საარჩევნო კომისიის შემადგენლობა დაკომპლექტებული იყო 7 წევრისაგან, უნივერსიტეტის თანამშრომლებისაგან და მოწვეული ექსპერტებისაგან, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან და არასამთავრობო სექტორიდან, ა(ა)იპ ,,ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრიდან“, წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ფაკულტეტებსა და დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულებზე სულ 23 საარჩევნო ქვეკომისია (საუბნო საარჩევნო კომისია) შეიქმნა, რომლებიც დაკომპლექტდნენ ფაკულტეტებზე 7-7, ხოლო დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულებში 5-5 წევრით.

სენატის არჩევნები გამოცხადდა 7 ფაკულტეტსა და 16 დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში. მისი განცხადებით, არჩევნებმა ჩაიარა მშვიდ გარემოში ყველანაირი ექსცესისა და გართულების გარეშე. მოხსენების დროს აღინიშნა, რომ სენატის საერთო რაოდენობა განსაზღვრულია 76 წევრით, არჩეული იქნა სენატის 74 წევრი. აქედან, როგორც კანონმდებლობა მოითხოვს, 1/3 ანუ 26 წევრი არის სტუდენტი, 1 (ერთი) თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, 1 (ერთი) თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი (თსუ წესდების თანახმად, შემოდიან საბჭოში ავტომატურად) და ასევე 16 დამოუკიდებელი სამეცნიეროკვლევითი ერთეულის 1 (ერთი) წარმომადგენელი ყოველი ასეთი ერთეულიდან), 32 ადგილი კი ეკუთვნის აკადემიურ პერსონალს.

ასევე აღნიშნა, რომ წარმომადგენლობით საბჭოს წევრებს გადაგზავნილი აქვთ არჩევნების შედეგების შესახებ ვრცელი ანგარიში. (დანართი 3)

**საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა**

- წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დადასტურების (ცნობის) შემდგომ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატისა) და აკადემიური საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, ახალარჩეული სენატის წევრებს უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯაბა სამუშიამ სიტყვით მიმართა. მან სენატის ახალ შემადგენლობას

მიულოცა არჩევა და მათ მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა. ამასთან, ისაუბრა ბოლო თვენახევრის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ. მათ შორის ისაუბრა უნივერსიტეტის ქონებასთან და ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებზე და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული ქონება არ გასხვისდება თუ სტუდენტებისთვის და პროფესორებისთვის არ შეიქმნება ალტერნატიული სივრცე. რექტორის მ.შ. ჯაბა სამუშიამ, ასევე, ყურადღება გამახვილა აუდიტორიებისა და ლაბორატორიების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვაზე, რაშიც, მისი ინფორმაციით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტს. თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა სტუდენტურ საერთო საცხოვრებელთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სტუდენტების, პროფესორებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ორი კომისია შეჯერდა ერთ-ერთ ობიექტზე. ამ ობიექტზე სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე გადაიდგმება შემდგომი ნაბიჯები. ბატონმა ჯაბა სამუშიამ, ასევე, აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რის შედეგადაც მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორებს საუნივერსიტეტო კლინიკა ექნებათ.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, ამირან ბიბილაშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო წარმომადგენლობითი საბჭოს არჩეული წევრების სია. მისი განმარტებით, წესდების თანახმად, აუცილებელია ახლადარჩეულმა წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადასტუროს (ცნოს) წევრების უფლებამოსილება. არჩევნების შედეგად სენატი სრულად დაკომპლექტდა. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დადასტურების (ცნობის ) საკითხი

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 62

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** ცნობილ იქნას წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგი წევრების უფლებამოსილება (დანართი 4)

3. სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან ბიბილაშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის/სხდომის მდივნის თანამდებობაზე წარადგინა წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსი, გიორგი ჩაკვეტაძე. მისი განცხადებით, მდივანი წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმს აწარმოებს და ახორციელებს ტექნიკური ხასიათის სამუშაოს. გიორგი ჩაკვეტაძე წინა საბჭოს სხდომის მდივნის მოვალეობას ასრულებდა და წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ ვალდებულებას.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 62

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მდივნად/სხდომის მდივნად არჩეულ იქნა გიორგი ჩაკვეტაძე.

4. სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან ბიბილაშვილმა სპიკერის არჩევასთან დაკავშირებით წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მიმართა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის წესდებით, სპიკერი უნდა აირჩეს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 4 წლის ვადით. კანდიდატის დასახელებისა და კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს წარმომადგენლობითი საბჭოს ნებისმიერ წევრს. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა - ქალბატონმა თინა ქიტუაშვილმა სენატის სპიკერის თანამდებობაზე წარადგინა ბატონი ვლადიმერ მარგველაშვილის კანდიდატურა. მისი განცხადებით, ბატონი ვლადიმერ მარგველაშვილი წარმატებით ასრულებდა წინა მოწვევის სენატის სპიკერის ფუნქციებს, მით უფრო იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რაც ახლდა პანდემიურ პერიოდს. აღნიშნა, რომ იგი გამორჩეულად აკადემიური პიროვნებაა და სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით აკადემიურ წრეებში. წარმოდგენილ კანდიდატურას მხარი დაუჭირა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა კახაბერ ლორიამ, აღნიშნა, რომ ბატონი ვლადიმერი არის საერთაშორისო დონის მეცნიერი, შესაბამისი გამოცდილებით აღნიშნულ პოზიციაზე და შესაბამისად მისასალმებელია იქნება მისი ამ პოსტზე კიდევ ერთხელ არჩევა. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ვლადიმერ მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა კოლეგებს მისი წარდგენისათვის და აღნიშნა, რომ სპიკერი, მართალია, პროცედურული თანამდებობაა, თუმცა, იმავდროულად, ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა. ამასთან, მიესალმა უნივერსიტეტის რექტორის მ.შ. ჯაბა სამუშიას ინიციატივას საუნივერისტეტო კლინიკის შექმნასთან დაკავშირებით.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 62

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:**

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერად არჩეულ იქნა ვლადიმერ მარგველაშვილი

5. დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის №44/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ნოემბრის №110/2022 დადგენილება.
აღნიშნა, რომ ცვლილება შედის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის №44/2017 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში და მე-3 მუხლის პირველ პუნქტს ემატება „ტექსტოლოგიური კვლევის ცენტრი“ და „ციფრული ლიტერატურის ლაბორატორია“.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 62

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:**

დამტკიცდეს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის №44/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ნოემბრის №110/2022 დადგენილება. (დანართი 5)

6. საკითხის მომხსენებელმა, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ცვლილება შედის დებულების 29-ე მუხლში, რომელითაც ახალი რედაქციით ყალიბდება ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტები და ფაკულტეტის სხვა სასწავლო სამეცნიერო ერთეულები. აღინიშნა, რომ ცვლილებები მოწონებული და დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ასევე შეთანხმებულია თსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან.
მოქმედი კანონმდელობის თანახმად, საკითხის განხილვაში მონაწილეობდა ასევე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 62

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:**

დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით (დანართი 6);

7. საკითხის მომხსენებელმა დიმიტრი კორძაიამ აღნიშნა, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები მოწონებული და დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ასევე შეთანხმებულია თსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან. ასევე ცვლილებები განპირობებულია გარკვეული იურიდიული დეტალების დაზუსტებითა და ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრით, იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედ დებულება 2018 წლის რედაქციისაა და მასში გარკვეული ცვლიელებების განხორციელების აუცილებლობა დადგა.
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკუკტეტის წარმომადგენელმა გიორგი არქანიამ აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია წარმოდგენილი დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება საბჭოს შემადგენლობის ¼-ით და რომ ფაკულტეტის საბწოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს საბჭოს წევრობის უფლებას. აღნიშნა, რომ ამ სახის ჩანაწერს მხარს არ დაუჭერს, ვინაიდან ფაკულტეტის საბჭოში არჩევის უფლება უნდა ჰქონდეს ასევე დამოუკიდებელ სტუდენტსაც.
საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ალექსანდრე გაბაშვილმა და იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა არჩილ კუკულავამ. აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ჩანაწერი შესაბამისობაშია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და უნივერსიტეტის წესდებასთან.

მოქმედი კანონმდელობის თანახმად, საკითხის განხილვაში მონაწილეობდა ასევე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 61

წინააღმდეგი: 1

**მიღებული გადაწყვეტილება:**

დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 7);

8. დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №136/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ნოემბრის №109/2022 დადგენილება.
საკითხის მომხსემებელმა აღნიშნა, რომ ცვლილებები შედის „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №136/2016 დადგენილების დანართ #1-ში და მე-3 მუხლის შესაბამისი პუნქტები ყალიდება შემდეგი სახით: „პეტროლოგიის, მინერალოგიის, გეოქიმიისა და ლითოლოგიის განყოფილება“ და „ვულკანოლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის განყოფილება;
აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები მოწონებულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ და დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 62

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:**

დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №136/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ნოემბრის №109/2022 დადგენილება. (დანართი 8);

9.საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა ლაშა საღინაძემ აღნიშნა, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ ადგილზე, ვიზუალურად დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერას ექვემდებარება უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივები -წიგნები (1685 ერთეული, ღირებულებით 7848.06 ლარი) დანართის შესაბამისად, ვინაიდან თსუ ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდების გარიცხვა/ჩამოწერის #2 აქტის საფუძველზე წიგნები არამოთხოვნადია და წარმოადგენს ჭარბ ეგზეპლარებს. შესაბამისად, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წესდების 47-ე მუხლის მე-51 პუნქტის საფუძველზე, ითხოვა სენატმა განიხილოს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 1 685 ერთეული წიგნის ჩამოწერის საკითხი. აღინიშნა, რომ თანხმობის შემთხვევაში, შესაბამის სამინისტროსთან სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ სენატის სხდომაზე შემდგომში წარმოდგენილი იქნება მათი განკარგვის საკითხიც.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე:** 62

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 1 685 ერთეული წიგნის დადგენილი წესით ჩამოწერაზე (დანართი 9)

სხდომის დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯაბა სამუშიამ კიდევ ერთხელ მიულოცა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნიკოლოზ ჯავახიშვილს ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად არჩევა და მომავალი წარმატებები უსურვა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის თავმჯდომარე ამირან ბიბილაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მდივანი გიორგი ჩაკვეტაძე

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2022 წლის 05 დეკემბერი #6 სხდომა)

## ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ნაზირა კაკულია -

2. მიხეილ ჩიკვილაძე -

3. ნინო ფარესაშვილი -

4. ლელა ბახტაძე -

5. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1. დავით ნებიერიძე -

2. საბა გოგიბერიძე -

3. მარიამ შენგელია -

4. ილარიონ ფიფია -

5. ელენე გაჩეჩილაძე -

6. ლიკა წერეთელი -

## ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი-

3. ნათელა არჩვაძე-

4. ამირან ბიბილაშვილი-

5. მარიამ ახალკაციშვილი-

6. მაკა მურვანიძე-

სტუდენტები:

1. ანა ბოკერია-

2. მარიამ ვარდოსანიძე- მ. ვარდო

3. ვასილ ბერიძე- ვ. ბერიძე

4. დავით შუბითიძე-

## იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

1. მარინა გარიშვილი- მ. გარ

2. მაია ივანიძე-

3. გიორგი თუმანიშვილი- გ. თუმ

სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე-

2. საბა ქვათაძე- ს. ქვათაძე

3. თამარ ჯინჭარაძე- თ. ჯინჭ

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. ავთანდილ ტუკვაძე-

სტუდენტები:

1. ალექსანდრე გაბაშვილი-

2. კახა კუჭუხიძე-

3. ნინო პაქსაშვილი-

## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ გამსახურდია-

2. იზაბელა პეტრიაშვილი-

სტუდენტები:

1. ანი ფურცელაძე-

2. ბარბარე მამაგეიშვილი-

## მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-

2. თინა ქიტუაშვილი-

3. ზურაბ ჩხაიძე-

4. შალვა ფარულავა-

5. გიორგი პატარაია-

სტუდენტები:

1. ასჰრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2. ანა ფაშაევა-

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. ელისაბედ ზჟალავა-

4. მანანა რუსიეშვილი-

5. თეა ქარჩავა-

6. ლერი თავაძე-

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

8. ინგა სანიკიძე-

სტუდენტები:

1. გიორგი არქანია-

2. საბა გიორგაძე-

3. ნათია კორაშვილი-

4. საბა ლოლაძე-

5. ლუკა მამალაშვილი-

6. ლუკა ნარმანია-

## საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

## ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

## ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-

## ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარინა გურგენიშვილი-

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელიძე-

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე-

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია-

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს

წევრთა სია (2022 წლის 05 დეკემბერი, #6 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორის მ/შ, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. აბაშიძე ზურაბ
3. ავაზაშვილი ნიკოლოზ
4. ამირანაშვილი ავთანდილ
5. ანანიაშვილი ნათელა
6. ბახტაძე მიხეილ
7. გაგნიძე ნონა
8. გავაშელი ცისანა
9. გონაშვილი ვასილ
10. ზაუტაშვილი მარინე
11. კოპალეიშვილი მაია
12. კუხიანიძე ალექსანდრე
13. ლობჟანიძე გია
14. ლომიძე გაგა
15. მაღრაძე ვახტანგ

16. მინდაძე ნინო

17. სადრაძე ნინო

18. სილაგაძე ავთანდილ

19. ფერაძე გოჩა

20. ფურთუხია ომარ

21. ქიტიაშვილი ზაქარია

22. ქურდაძე რამაზ

23. ღონღაძე ალექსანდრე

24. ყარალაშვილი თამაზ

25. შავლაყაძე ნუგზარ

26. შალიკაშვილი მორის

27. შანიძე რევაზი

28. შარაშიძე ნინო

29. შენგელია თემური

30. ჩიტაშვილი მარინე

31. ცაგარელი ზურაბ

32. ცისკარიძე ალექსანდრე

33. წერეთელი მარი

34. წერეთელი მზია

35. ხარაიშვილი ეთერ

36. ხაჩიძე მანანა

37. ხუსკივაძე მამუკა

38. ხუციშვილი ქეთევან

# სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 28 ნოემბრის არჩევნების

# ანგარიში

(31 ოქტომბერი - 02 დეკემბერი)

2022 წელი 05 დეკემბერი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 28 ნოემბრის არჩევნების ანგარიშს**. ანგარიში მოიცავს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 28 ნოემბრის არჩევნებისათვის შექმნილი **საარჩევნო კომისიის** (შემდგომში - უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია/ საარჩევნო კომისია) მიერ სენატის არჩევნებისათვის **განხორციელებულ საქმიანობასა და არჩევნების დღის შეჯამებას**.

**მოკლე აღწერა**

უნივერსიტეტის[1] აკადემიური საბჭოს 2022 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების N100/2022[2] საფუძველზე გამოცხადდა სენატის არჩევნები და არჩევნების თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 28 ნოემბერი.

სენატის არჩევნები გამოცხადდა 7 ფაკულტეტსა და 16 დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში შემდეგი სახით:

- თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 5 წევრი; სტუდენტი - 6 წევრი;
- თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 6 წევრი; სტუდენტი - 4 წევრი;
- თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 3 წევრი; სტუდენტი - 3 წევრი;
- თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 5 წევრი; სტუდენტი - 2 წევრი;
- თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 3 წევრი; სტუდენტი - 3 წევრი;
- თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 2 წევრი; სტუდენტი - 2 წევრი;
- თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 8 წევრი; სტუდენტი - 6 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი: 1 წევრი;

---

[1] სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[2] სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 31 ოქტომბრის ,, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა არჩევნების დანიშვნის შესახებ" N 100/2022 დადგენილება, ვრცლად შეგიძლიათ იხ.: https://bit.ly/3iC1FxA

- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი: 1 წევრი;
- თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: 1 წევრი.

სენატის არჩევნების ორგანიზების მიზნით თსუ-ის რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N338/01-01 ბრძანების[3] საფუძველზე დამტკიცებული საარჩევნო კომისიის შემადგენლობა დაკომპლექტებული იყო 7 წევრისაგან, უნივერსიტეტის თანამშრომლებისაგან და მოწვეული ექსპერტებისაგან, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან და არასამთავრობო სექტორიდან, ა(ა)იპ ,,ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრიდან“, კერძოდ:

- ვასილ ბარამიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ზურაბ გოგშელიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- მერი კაპანაძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- აკაკი მიქაბერიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ვიოლეტა კირაკოსიანი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- რევაზ ეგაძე - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

[3] სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 08 ნოემბრის ,, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 28 ნოემბრის არჩევნების საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ N338/01-01, ვრცლად შეგიძლიათ იხ.: https://bit.ly/3FqpMZe

- მიხეილ ჭიღლაძე - ა(ა)იპ ,,ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“

წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ფაკულტეტებსა და დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულებზე სულ 23 საარჩევნო ქვეკომისია (საუბნო საარჩვენო კომისია) შეიქმნა, რომლებიც დაკომპლექტდნენ ფაკულტეტებზე 7-7, ხოლო დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულებში 5-5 წევრით.

23 საარჩევნო ქვეკომისიის წევრთა რაოდენობა შეადგენდა 129-ს.

სენატის არჩევნებისათვის 3 კატეგორიის ამომრჩეველი იღებდა მონაწილეობას, კერძოდ: აკადემიური პერსონალი, მეცნიერ-თანამშრომლები და სტუდენტები. შესაბამისად, 7 ფაკულტეტზე შექმნილ საარჩევნო ქვეკომისიებში ამომრჩევლები იყვნენ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, ხოლო დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულზე შექმნილ საარჩევნო ქვეკომისიებში - მხოლოდ მეცნიერ-თანამშრომლები.

არჩევნებისათვის ამომრჩეველთა (აკადემიური პერსონა, მეცნიერ-თანამშრომელი და სტუდენტი) რაოდენობა სიის მიხედვით იყო - 27 278.

კანდიდატთა რეგისტრაცია - არჩევნებისათვის რეგისტრაცია გაიარა:

ფაკულტეტებზე აკადემიური პერსოლის კვოტით - 35 კანდიდატმა (გენდერული თვალსაზრისით - 9 კაცი და 26 ქალი), ხოლო სტუდენტების წარმომადგენლობის კვოტით - 43 კანდიდანტმა (გენდერული თვალსაზრისით - 21 კაცი და 22 ქალი), ხოლო დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულებში მეცნიერ-თანამშრომლის კვოტით  - 18 კანდიდატმა ( 6 კაცი და 12 ქალი).

აკადემიური პერსონალის ნაწილში მხოლოდ 1 კანდიდატს ეთქვა უარი რეგისტრაციაზე.

არჩევნებზე დაკვირვების მიზნით საარჩევნო კომისიას მომართა 4 ფიზიკურმა პირმა, რომელთაც უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მიერ მიენიჭათ დამკვირვებლის მანდატი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა და  ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ საარჩევნო ქვეკომისიებში.

**სენატის არჩევნების სამართლებრივი ჩარჩო**

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებისათვის საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობდა ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ N135/ნ ბრძანებისა და  აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №127/2013 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №7 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესით“ (შემდგომში - ,,დებულება“).

ზემოთ აღნიშნულის გარდა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ მინიჭებული კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში, არჩევნების ორგანიზების, ხარვეზების აღმოფხვრის, ზოგიერთი

საარჩევნო პროცედურის დახვეწისა და გამარტივების მიზნით შეიმუშავა წესი - ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი (სენატის) საბჭოს 2022 წლის 28 ნოემბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“, ხოლო ცალკეული საკითხების გადაწყვეტის მიზნით კომისია სხდომებზე იღებდა გადაწყვეტილებას, რომელიც აისებოდა სხდომის ოქმ(ებ)ში.

**სენატის არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიის მიერ განხორციელებული ძირითადი საქმიანობა**

- უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ შეიმუშავა საარჩევო ღონისძიებათა გრაფიკი, რომლითაც განისაზღვრა 2022 წლის 28 ნოემბრის არჩევნებისათვის ძირითადი საქმიანობა და პროცესები შესაბამისი თარიღების მითითებით;
- უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ შეიმუშავა ახალი წესი - ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი (სენატის) საბჭოს 2022 წლის 28 ნოემბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“(შემდგომში -,,წესი“), რომლის მეშვეობითაც დაზუსტდა, დაიხვეწა და გამარტივდა დებულებით განსაზღვრული ნორმები და საარჩევნო პროცედურები (მათ შორის, დამკვირვებელთა რეგისტრაციის საკითხი, კენჭისყრის დღის პროცედურები, ფოტოვიდეოგადაღების წესი და საარჩევნო ქვეკომისიის წევრთა უფლებამოსილებები).
- უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ შეიმუშავა და სხდომის ოქმების მეშვეობით დაამტკიცა: დამკვირვებელთა აკრედიტაციის, განცხადება/საჩივრის, კენჭისყრის და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი და შესწორების ოქმების, სარეგისტრაციო ჟურნალის, ბიულეტენისა და ამომრჩეველთა სიების ფორმები.
- საარჩევნო ქვეკომისიების წევრთა გადამზადების მიზნით უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ შეიმუშავა მოსამზადებელი ინსტრუქტაჟი და წევრთა გადამზადება უზრუნველყო ტრენინგის მეშვეობით, რომელშიც 2 ტრენერი მონაწილეობდა (უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრები).
- უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ ვადებში უზრუნველყო არჩევნებისათვის მოსამზადებელი ღონისძიებებისა თუ პროცედურების ორგანიზება, მათ შორის, ამომრჩეველთა სიების დამტკიცება-დაბეჭდვა, ბიულეტების მომზადება-დაბეჭდვა, საარჩევნო ქვეკომისიებისათვის ინვენტარის გადაცემა და უბნების მოწყობა.
  სენატის არჩევნებისათვის მომზადდა 3 ტიპის ამომრჩეველთა სამაგიდე სიები (აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და მეცნიერ-თანამშრომლების) და 3 სახეობის ბიულეტენი (აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და მეცნიერ-თანამშრომლების).
- უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია მიღებულ გადაწყვეტილებებს, სხდომის ოქმებს, ასევე, ჩართულ მხარეთა ინფორმირების მიზნით, არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომის მიზნით ინფორმაციას განათავსებდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე.[4]

---

[4] უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, შეგიძლიათ იხ.:
1. https://bit.ly/3UAtPq1
2. https://bit.ly/3XT3qqy
3. https://bit.ly/3EY99Tj

**არჩევნების დღე, 2022 წლის 28 ნოემბერი**

**2022 წლის 28 ნოემბერს არჩევნები ჩატარდა  რეგულაციების დაცვით, თავისუფალ, მშვიდ, და გამჭვირვალე გარემოში. არჩევნების დღეს არ დაფიქსირებული დარღვევები;** საარჩევნო კომისიებში არ დაწერილა არც საჩივრები და არც განცხადებები, არც სიტყვიერი შენიშვნა არ დაფიქსირებულია არცერთი უფლებამოსილი პირის მხრიდან, მათ შორის, არც დამკვირვირვებლებისგან.

23 საარჩევნო ქვეკომისიიდან 22 საარჩევნო ქვეკომისია 10:00სთ-თვის მზად იყო ამომრჩევლების მისაღებად, მხოლოდ ერთ უბანზე მცირე ტექნიკური უზრუნველყოფის მიზეზით, დაახლოებით 10 წთ-ის დაგვიანებით გაიხსნა საარჩევნო ქვეკომისია. 23-ვე საუბნო საარჩევნო კომისიაში წევრთა წარმომადგენლობა იყო მაქსიმალური.

სულ არჩევნებში სიების მიხედვით რეგისტრირებული ამომრჩეველი იყო 27 278 (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და მეცნიერ-თანამშრომლები), ხოლო მონაწილეობა მიიღო  3650 (აკადემიური, სტუდენტები და მეცნიერ-თანამშრომლები), რაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 13,38%-ია.

23 საარჩევნო ქვეკომისია დაიხურდა 17:00სთ-ზე; საარჩევნო ქვეკომისიებში ხმების დათვლა მიმდინარეობდა მშვიდ და თავისუფალ გარემოში რეგულაციების დაცვით; საარჩევნო ქვეკომისიებიდან მიღებული შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე შედეგების შეჯამება და გამოცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყო უბნების დახურვიდან (17:00სთ) 4 სთ-სა და 41 წთ-ში, კერძოდ, 21:41სთ-ზე ბრინფინგის მეშვეობით, ხოლო შედეგების შემაჯამებელი ოქმი განთავსდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით საჩივარი არ დაწერილა, შესაბამისად, საარჩევნო კომისიამ ანაგარიში მოამზადა 2022 წლის 02 დეკემბრის მდგომარეობით.

---

4. https://bit.ly/3VtvCyt
5. https://bit.ly/3FoQhy8
6. https://bit.ly/3BaVU0y

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №6, დანართი4

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებადადასტურებული წევრები:**

## ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

**პროფესორები:**

1. ნაზირა კაკულია -

2. მიხეილ ჩიკვილაძე -

3. ნინო ფარესაშვილი -

4. ლელა ბახტაძე -

5. მარინა მაისურაძე -

**სტუდენტები:**

1. დავით ნებიერიძე -

2. საბა გოგიბერიძე -

3. მარიამ შენგელია -

4. ილარიონ ფიფია -

5. ელენე გაჩეჩილაძე -

6. ლიკა წერეთელი-

## ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი-

3. ნათელა არჩვაძე-

4. ამირან ბიბილაშვილი-

5. მარიამ ახალკაციშვილი-

6. მაკა მურვანიძე-

**სტუდენტები:**

1. ანა ბოკერია-

2. მარიამ ვარდოსანიძე-

3. ვასილ ბერიძე-

4. დავით შუბითიძე-

## იურიდიული ფაკულტეტი

**პროფესორები:**

1. მარინა გარიშვილი-

2. მაია ივანიძე-

3. გიორგი თუმანიშვილი-

**სტუდენტები:**

1. ბარბარა მახარაძე-

2. საბა ქვათაძე-

3. თამარ ჯინჭარაძე-

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. ავთანდილ ტუკვაძე-

**სტუდენტები:**

1. ალექსანდრე გაბაშვილი-

2. კახა კუჭუხიძე-

3. ნინო პაქსაშვილი-

## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

1. ვლადიმერ გამსახურდია-

2. იზაბელა პეტრიაშვილი-

**სტუდენტები:**

1. ანი ფურცელაძე-

2. ბარბარე მამაგეიშვილი-

## მედიცინის ფაკულტეტი

**პროფესორები:**

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-

2. თინა ქიტუაშვილი-

3. ზურაბ ჩხაიძე-

4. შალვა ფარულავა-

5. გიორგი პატარაია-

**სტუდენტები:**

1. ასჰრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2. ანა ფაშაევა-

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

1. კახაბერ ლოორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. ელისაბედ ბჟალავა-

4. მანანა რუსიეშვილი-

5. თეა ქარჩავა-

6. ლერი თავაძე-

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

8. ინგა სანიკიძე-

**სტუდენტები:**

1. გიორგი არქანია-

2. საბა გიორგაძე-

3. ნათია კორაშვილი-

4. საბა ლოლაძე-

5. ლუკა მამალაშვილი-

6. ლუკა ნარმანია-

## საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

## ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

**ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი**

ციური სუმბაძე-

**ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი**

სოფიო ხუციშვილი-

**კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი**

ლალი ახალბედაშვილი-

**შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი**

ადა ნემსაძე-

**ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი**

თეიმურაზ მაჩაიძე-

**ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი**

თამილა ჩალაძე-

**ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი**

გიორგი მამარდაშვილი-

**თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი**

ედიშერ ფუტკარაძე-

**მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი**

მანანა ნიკოლაიშვილი-

**პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**

მარინა გურგენიშვილი-

**რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი**

მარინე ხუციშვილი-

**პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი**

ეთერ კაკულია-

## არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-

## მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-

## ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე-

## ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია-

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

LEPL - IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

N 31643/10
01/12/2022

31643-10-3-202212011354

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ$^{2}$“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის №44/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ნოემბრის №110/2022 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ: +(995 32) 225 04 84 Tel.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 110/2022 28 ნოემბერი 2022წ.

**"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის №44/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ$^{2}$" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ$^{2}$" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის 2022 წლის 28 ოქტომბრის №28396/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ნოემბრის №20 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის №44/2017 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ვ" და „ა.ზ" ქვეპუნქტები:

„ა.ვ) ტექსტოლოგიური კვლევების ცენტრი;
ა.ზ) ციფრული ლიტერატურის ლაბორატორია.".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესორი ჯაბა სამუშია
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 9 ოქტომბრის N6 სხდომის ოქმით დამტკიცებული ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები:

ბ) დებულების 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

**„მუხლი 29. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტები და ფაკულტეტის სხვა სასწავლო-სამეცნიერო ერთეულები**

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტში შედის შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტები:

ა) ფსიქოლოგიის მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი;

ბ) განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი.

2. ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი შედგება შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებისგან:

ა) კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

ა.ა) კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მიმართულება;

ა.ბ) კოგნიტური ფსიქოლოგიის მიმართულება;

ა.გ) ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მიმართულება;

ა.დ) ოკუპაციური თერაპიის მიმართულება;

ბ) პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

ბ.ა) პიროვნების ფსიქოლოგიის მიმართულება;

ბ.ბ) ფსიქოლოგიური შეფასება/დიაგნოსტირების და კონსულტირების მიმართულება;

გ) სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

გ.ა) სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულება;

გ.ბ) გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულება;

დ) განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

დ.ა) განათლების ფსიქოლოგიისა და კვლევის მიმართულება;

დ.ბ) სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია და კონსულტირება;

ე) შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

ე.ა) ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულება;

ე.ბ) ადამიანური რესურსის მართვის მიმართულება;

3. განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი შედგება შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებისგან:

ა) პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

ა.ა) პედაგოგიკის თეორია და პრაქტიკის მიმართულება;

ა.ბ) განათლების ისტორიის მიმართულება;

ბ) მასწავლებელთა განათლების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

ბ.ა) საგნის სწავლების მეთოდიკების მიმართულება;

ბ.ბ)გამოყენებითი დიდაქტიკისა და კონსულტირების მიმართულება;

გ) ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

გ.ა) განათლებაში ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება;

გ.ბ) განათლებაში ციფრული ტექნოლოგიების მიმართულება.

4. სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტსა და მიმართულებას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრი. ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ იმავე ინსტიტუტის ან მიმართულების წევრი პროფესორი და/ან ასოცირებული პროფესორი 2 წლის ვადით.

5. სასწავლო სფეროს სხვა სტრუქტურული ერთეულების (ლაბორატორიები და სხვა) კონკრეტული ჩამონათვალი დგინდება შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის წარდგინებით, ფაკულტეტის საბჭოს მიერ. სასწავლო ლაბორატორიის ხელმძღვანელობა, ეკისრება ფაკულტეტის არანაკლებ ასოცირებულ პროფესორს ან განსაკუთრებულ შემთხვევაში ასისტენტ პროფესორს.“.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

N 23310/26
20/09/2022

23310-26-3-202209201307

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსს

ბატონ გიორგი ჩაკვეტაძეს

ბატონო გიორგი,

წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების ცვლილებებს.

დებულება თან ერთვის წერილს.

პატივისცემით,

თამარ გაგოშიძე

დეკანი
ადმინისტრაცია

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 მე-3 კორპუსი 0179 თბილისი, საქართველო
11, Ilia Tchavtchavadze Ave., building 3, 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი: +(995 32) 222 44 69 Tel.
ელ-ფოსტა: psy-edu@tsu.ge E-mail

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის**
**საბჭოს სხდომის**
**ოქმი N 6**
**16.06.2022**
**ამონაწერი**

**განსახილველი საკითხები:**

1. უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებზე მსჯელობა და საბჭოს განცხადება
2. ფაკულტეტის სადოქტორო დებულებაში ცვლილებების დამტკიცება
3. ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება
4. ინსტიტუციური ეთიკის საბჭოს დებულების და სააპლიკაციო ფორმის დამტკიცება. ინსტიტუტების ახალი ხელმძღვანელების დამტკიცება
5. ახალი გაერთიანებული სადოქტორო პროგრამის "ფსიქოლოგია" განხილვა და დამტკიცება
6. ვ. გამსახურდიას სტატიის წარდგენა საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე
7. სხვა

**ფაკულტეტის საბჭოს სხდომა გაიმართა ელექტრონულად. მასალები ელექტრონულად დაეგზავნათ საბჭოს წევრებს.**

**სხდომას ესწრებოდნენ:**

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

**ფაკულტეტის საბჭოს წევრები :**

*ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:*

**პროფესორები :**

ლალი სურმანიძე, ია კუტალაძე, მზია წერეთელი, ანასტასია ქიტიაშვილი.

**ასოცირებული პროფესორები:**

მანანა მელიქიშვილი, ირინე ჟვანია, ეკატერინე ფირცხალავა, ლუიზა არუთინოვა, ხათუნა მარწყვიშვილი, თამარ აბაშიძე, მაია მესტვირიშვილი, ია აფთარაშვილი, ნინო ლაბარტყავა, შორენა მამუკაძე, მადეა დესპოტაშვილი, თეონა ლოდია.

*განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:*

**პროფესორი:** ქეთევან ჭკუასელი.

**ასოც. პროფესორი:** იზაბელა პეტრიაშვილი.

**სტუდენტები**:

კენჭისყრაში სულ მონაწილეობდა **19 წევრი**

**განიხილეს:**

**3. ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება**

ფაკულტეტის საბჭოს თამჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტმა უკვე იმსჯელა ფაკულტეტის დებულებაში შესატან ცვლილებებზე და პროფესორებმა შეაჯერეს მოსაზრებები, რაც ასახულია დებულების წარმოდგენილ ვარიანტში. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ დებულებაში შეტანილი ცვლილებები მისაღებია.

საბჭომ კენჭი უყარა ცვლილებებს ფაკულტეტის დებულებაში.

**მომხრე:** 19

**წინააღმდეგი: 0**

**თავი შეიკავა: 0**

**დაადგინეს: შევიდეს წარმოდგენილი ცვლილებები ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში.**

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ქვანია

**შევიდეს შემდეგი ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის სხდომის ოქმით N1 დამტკიცებული მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში:**

**1. დებულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 1. ფაკულტეტის ცნება და სტატუსი**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი" ან „თსუ") მედიცინის ფაკულტეტი (შემდგომში "ფაკულტეტი") წარმოადგენს თსუ-ის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას, ასევე ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს მედიცინის მიმართულებით.

2. ფაკულტეტი ვალდებულია, შეუქმნას ადეკვატური პირობები სტუდენტს და ფაკულტეტის პერსონალს სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევისათვის; უზრუნველყოს მეცნიერების შესაბამის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო და სამეცნიერო პირობების გაუმჯობესებაზე.

3. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თსუ-ის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

4. ფაკულტეტის ოფიციალური სახელწოდებაა – „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი".

5. ფაკულტეტი ოფიციალური მიმოწერისას სარგებლობს საკუთარი ბლანკით. ბლანკის გამოყენება ხდება ფაკულტეტის დეკანის დავალებით ან თანხმობით საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

6. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი და შტამპი, რომლითაც სარგებლობს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, ასევე - თსუ-ის ოფიციალური ვებ-გვერდის ფარგლებში არსებული სპეციალური განყოფილება.

7. ფაკულტეტის მისამართია: ბელიაშვილის ქ №78, 0179 თბილისი, საქართველო.

8. ფაკულტეტს აქვს და საქართველოს ექიმთა ასოციაციასთან ერთად ერთობლივად გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს – „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა – საქართველოს სამედიცინო ჟურნალი".

**2. დებულების მე-4 მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ფაკულტეტის სტრუქტურა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით და მის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, დეკანის მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი), დამხმარე სტრუქტურული

ერთეულები, სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები, ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები.

3. ფაკულტეტზე იქმნება კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია.

4. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა.

5. ფაკულტეტს აქვს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა და კონცეფცია".

**3. დებულების მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება საბჭოს შემადგენლობის 1/4-ით. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.

3. ფაკულტეტის საბჭოს შედგება 35 წევრისაგან მათ შორის სტუდენტები, სტუდენტური თვითმართველობიდან (აღნიშნულ რაოდენობაში არ შედის დეკანი), რომლებიც აირჩევიან სასწავლო-სამეცნიერო კათედრებიდან, (თითოეული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული არანაკლებ ერთი და არაუმეტეს 3 წევრი, რაც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით).".

**4. დებულების მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 - მე-9 პუნქტები:**

„5. ფაკულტეტის საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის არჩევნების ცხადდება დეკანის ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტით (ბრძანება). დეკანის ბრძანება ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების შესახებ უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს თვალსაჩინო ადგილას.

6. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი.

7. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი კათედრის სხდომაზე ღია კენჭისყრით. სხდომაზე ირჩევენ თავმჯდომარესა და მდივანს. კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით. კანდიდატების დასახელება ხდება სხდომაზე. კათედრის თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი კანდიდატურის, ასევე სხვა კანდიდატურების დასახელება. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში კენჭისყრა ტარდება განმეორებითი. განსაკუთრებულ შემთხვევაში, კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს ინტერნეტ (ონლაინ) კომუნიკაციის მეშვეობით.

8. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის შესაბამისად. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში პირს ავტომატურად უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოს ვაკანტური ადგილის

დასაკავებლად იმართება განმეორებითი არჩევნები კანონმდებლობითა და ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

9. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი. მისი არყოფნის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს დეკანის მოვალეობის შემსრულებელი".

**5. დებულების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები**

1. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ვ) თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს მდივანს;

ზ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძველით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

თ) აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურების - ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და ერთსაფეხურიანი განათლების პროგრამის - დამთავრებისას პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო;

ი) ქმნის სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს;

კ)მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად;

ლ)სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განსაზღვრავს სპეციალობის /სპეციალობების ჩამონათვალს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების ფარგლებში;

მ) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე, ფაკულტეტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;

ნ)დეკანის წარდგინებით, ამტკიცებს საატესტაციო კომისიას ასევე დეკანის წარდგინებით ნიშნავს სასწავლო-სამეცნიერო ხელმძღვანელებს;

ო) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განსაზღვრავს ფაკულტეტზე მაგისტრატურაში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;

პ) სადოქტორო პროგრამების განხორციელების მიზნით ამტკიცებს დოქტორანტების საკვლევი თემატიკის ჩამონათვალს და ფაკულტეტზე დოქტორანტურაში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;

ჟ) ახორციელებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლება მოსილებას."

**6. დებულების მე -9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა ტარდება სემესტრში არანაკლებ ორჯერ; საჭიროების შემთხვევაში, ის შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებითაც".

**7. დებულების მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:**

„6. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის შესასწავლად შექმნას სპეციალური დროებითი კომისია".

**8. დებულების მე -12 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. ფაკულტეტის დეკანად შეიძლება აირჩეს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. კანდიდატად რეგისტრაციისათვის აუცილებელია ავტობიოგრაფიისა და ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო. თითოეული კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.".

**9. დებულების მე-12 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-$12^1$ მუხლი:**

**„მუხლი $12^1$. დეკანის მოადგილეები**

1. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე, საქმიანობის სასწავლო და სამეცნიერო სფეროებში.
2. დეკანის მოადგილეების ძირითადი ამოცანებია:

ა) სასწავლო პროცესის და სამეცნიერო კვლევების ეფექტიანად წარმართვის უზრუნველყოფა;
ბ) ფაკულტეტზე სამეცნიერო აქტივობის და დოქტორანტთა მართვის ოპტიმალური სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
გ) დეკანის დავალებათა შესრულება."

**10. დებულების მე -13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:**

„2.დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობისას, მის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს დეკანის მოადგილე სასწავლო სფეროში".

**11. დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**2.** ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი.".

**12. დებულების მე -16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 - მე-7 პუნქტები:**

„5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატიურ მონიტორინგს. მიღებულ შედეგებს წარადგენს ფაკულტეტის საბჭოზე პროგრამების შემდგომი დახვეწის მიზნით.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს თსუ-ში დადგენილი წესის შესაბამისად.
7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წელიწადში ერთხელ ან საჭიროებისამებრ".

**13. დებულების მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 17. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი**

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინებით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭოს შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა.

2. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს ხმების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს.

3. თუ ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებულის გამოსავლენად. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას თსუ-ის წესდების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის დებულებების შესაბამისად;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს ფაკულტეტის სამსახურის წევრებსა და თანამშრომლებს შორის;
გ) ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;
დ) წარმოადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს თსუ-ის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან, ასევე თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობისას;
ე) საქართველოს კანონმდებლობით და თსუ-ის წესდებით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი წევრი, სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტი.".

**14. დებულების მე-18 მუხლის მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო კათედრებია:

ა) კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრა
ბ)დერმატო-ვენეროლოგიის კათედრა
გ)შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის კათედრა
დ)შინაგან დაავადებათა კათედრა
ე)ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრა
ვ)მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრა
ზ)ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრა
თ)ონკოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის კათედრა
ი)პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრა
კ)პედიატრიის კათედრა
ლ)ფარმაკოლოგიის კათედრა
მ)ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრა
ნ)ზოგადი ქირურგიის კათედრა
ო)კლინიკური ქირურგიის კათედრა - I
პ)კლინიკური ქირურგიის კათედრა - II
ჟ)უროლოგიის კათედრა
რ)კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრა
ს)ოფთალმოლოგიის კათედრა
ტ)სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრა
უ)კრიტიკული მედიცინის კათედრა
ფ)საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი:
ფ.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის კათედრა
ფ.ბ) სამედიცინო ეთიკის კათედრა
ქ)სტომატოლოგიის დეპარტამენტი:
ქ.ა) ორთოპედიული სტომატოლოგიის და იმპლანტოლოგიის კათედრა

ქ.ბ) თერაპიული სტომატოლოგიის კათედრა

ქ.გ) ყბა-სახის ქირურგიის კათედრა

ქ.დ) „ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრა.".

**15. დებულების მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:**

„4. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები შედგება ხელმძღვანელის, ხელმძღვანელის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მათ შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ სხვადასხვა კატეგორიის სპეციალისტები (მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი).

5. დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა საშტატო ნუსხას და ერთეულების ხელმძღვანელებს ფაკულტეტის დეკანი დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.".

**16. დებულების მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. ფაკულტეტის ბეჭედი და შტამპი ინახება კანცელარიაში, რომლის გამოყენება ხდება ფაკულტეტის უფლებამოსილ პირთა გადაწყვეტილებით კანცელარიის მიერ.".

**17. დებულების 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 21. კანცელარიის პერსონალი

კაცელარიას ხელმძღვანელობს კანცელარიის უფროსი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში კანცელარიის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი.".

**18. დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. სამსახურის უფროსს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. სამსახურის უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვ.) უფროსის მოვალეობის შემსრულებელს განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი.".

**19. დებულების 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. სამსახურის უფროსს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. სამსახურის უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებელს განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი.".

**20. დებულების 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. სამსახურის უფროსის მოვალეობები:

ა) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის საქმიანობის წარმართვა, სამუშაოების დაგეგმვა და განაწილება თანამშრომელთა შორის კომპეტენციებისა და ფუნქციების შესაბამისად;

ბ) აკადემიური პერსონალის დატვირთვებისა და ტუტორების საქმიანობის მონიტორინგი;

გ) სასწავლო ბაზაში – სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების შეტანის ზედამხედველობა, სტუდენტთა რეგისტრაციის ორგანიზება;

დ) სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლი, სტუდენტებისათვის ცნობების მომზადებისა და გაცემის უზრუნველყოფა;

ე) სტუდენტთა ინფორმირება და კონსულტაციის გაწევა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ვ) სტუდენტებისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების წარდგინებისა და სამსახურის მიერ სტუდენტების დანართების მომზადებაზე კონტროლის განხორციელება;

ზ) სამსახურის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე პასუხისმგებლობა;

თ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში.

ი) უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ცნობების მომზადებასა და გაცემას.".

**21. დებულების 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ე" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) ახდენს სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ფაკულტეტზე არსებული სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე;

ე) ახდენს სტუდენტთა კონტიგენტის, ერთსაფეხურიანის, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სემესტრული რეგისტრაციის ორგანიზებას;".

**22. დებულების 30-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 30. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის პერსონალი**

1. სამსახურის უფროსს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. სამსახურის უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის მოვალეობის შემსრულებელს განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი.".

**23. დებულების $32^1$-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„ მუხლი $32^1$ ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული**

1. ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს:

ა) „არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი", რომლის საქმიანობის მიზნები და წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

ბ) „სამედიცინო ცენტრი", რომელიც ამბულატორიული დაწესებულებაა და მოიცავს „სტომატოლოგიური კლინიკას" და „თერაპიული კლინიკას". „სამედიცინო ცენტრის"

საქმიანობის მიზნები და წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.
გ) „ექსპერიმენტული მედიცინის კვლევითი და სატრენინგო ცენტრი". „ექსპერიმენტული მედიცინის კვლევითი და სატრენინგო ცენტრის" საქმიანობის მიზნები და წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.
დ) „პათოლოგანატომიური ლაბორატორია". „პათოლოგანატომიური ლაბორატორიის" საქმიანობის მიზნები და წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.".

**24. დებულების 36-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

**„მუხლი 36. პერსონალის შემადგენლობა**

1. ფაკულტეტზე შეიძლება არსებობდეს აკადემიური, ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე თანამდებობები.
2. ფაკულტეტის აკადემიურ (საგანმანათლებლო-სამეცნიერო) პერსონალს მიეკუთვნება: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.
3. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნებიან: დეკანი, დეკანის მოადგილეები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
4. სამეცნიერო თანამდებობებს მიეკუთვნება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პერსონალი, ფაკულტეტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პერსონალი.
5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან საშტატო განრიგით გათვალისწინებული, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული შტატგარეშე, ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი პირები, მათ შორის ლაბორანტებიც.
6. ფაკულტეტი უფლებამოსილია, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.
7. ფაკულტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება თსუ-ის შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე.".

**25. დებულების 40-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„ მუხლი 40. მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი**

1. მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და თსუ-ის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, რეზიდენტურის, ასევე დოქტორანტურისა და სარეზიდენტო პროგრამის გასავლელად.

2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თსუ-ის წესდებით.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები განსაზღვრულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით.".

**26. დებულების 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 41. მედიცინის ფაკულტეტზე სწავლება**

1. ფაკულტეტზე სტუდენტები და რეზიდენტები/მაძიებლები ირიცხებიან კანონმდებლობითა და თსუ შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით

2. დიპლომირებული მედიკოსის/დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების საფეხურზე საქართველოს მოქალაქეებისათვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. სტუდენტთა სემესტრული რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად: ადმინისტრაციული – სწავლის საფასურის გადახდით და აკადემიური (საგნობრივი) - „სასწავლო პროცესის მართვის სისტემის" საშუალებით.

4. დიპლომირებული მედიკოსის/ დიპლომირებული სტომატოლოგის სწავლების საფეხურზე კრედიტების წლიური დასაშვები ოდენობა განისაზღვროს 65 კრედიტით (სემესტრში არაუმეტეს 30–35 კრედიტით).

5. საუნივერსიტეტო განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიურ ხარისხს/დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად, ანიჭებს ფაკულტეტის საბჭო;

6. აკადემიურ ხარისხს ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.

7. მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მიღება და ამოქმედება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და თსუ შიდა სამართლებნრივი აქტებით განსაზღვრული წესით.".

**27. დებულების 43-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:**

„11. მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტის სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების გარდა, დოქტორანტურაში ჩარიცხვა და სწავლა რეგულირდება ასევე დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით.".

**28. დებულების 48-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭო.".

29. დებულების დებულების 49-ე მუხლი ამოღებულ იქნას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ამონაწერი
მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს #12 სხდომიდან

28.11.2022

**სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:** დიმიტრი კორძაია, თამარ კეზელი, მერაბ კილაძე, არჩილ ხომასურიძე, ვახტანგ ჭუმბურიძე, თეიმურაზ ჩიგოგიძე, თეიმურაზ ჯორბენაძე, პაატა იმნაძე, სოფიო კახაძე, რუსუდან ქარსელაძე, თამარ რუხაძე, ზურაბ ჩხაიძე, ნინო შარაშიძე, შალვა ფარულავა, ნატა ყაზახაშვილი, ნინო ჩიხლაძე, ამირან ანთაძე, ბექან წინამძღვრიშვილი, გიორგი მენაბდე, ქეთევან გოგილაშვილი.

**დღის წესრიგი:** მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
**მომხსენებელი:** მედიცინის ფაკულტეტის დეკანი დიმიტრი კორძაია.
**მოისმინეს:** პროფესორ დიმიტრი კორძაიას ინფორმაცია მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მან წარმოადგინა ფაკულტეტის საბჭოს წინა სხდომაზე უკვე დამტკიცებულ ცვლილებებში ზოგიერთი შესწორება, რომელიც რეკომენდირებული იქნა თსუ იურიდიული დეპარტამენტის მიერ ასევე აუწყა საბჭოს წევრებს, რომ ამავე დეპარტამენტის რჩევით საჭიროა დამტკიცდეს არა „დებულების ახალი რედაქცია," არამედ „ცვლილებები დებულებაში" (დოკუმენტი თან ერთვის).
დ. კორძაიამ საბჭოს წევრებს მიმართა აღნიშნული ცვლილებების დოკუმენტის მხარდაჭერისათვის.
**აზრი გამოთქვეს:** პროფესორმა ზურაბ ჩხაიძემ და პროფესორმა თამარ რუხაძემ, მათ მხარი დაუჭირეს მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების იმ სახით დამტკიცებას, როგორც ეს რეკომენდირებული იქნა თსუ იურიდიული დეპარტამენტის მიერ.
**კენჭი უყარეს:** 20-მომხრე, წინააღმდეგი-0.
**დაადგინეს:** მიღებულ იქნას ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით და დასამტკიცებლად გადაეგზავნოს თსუ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

პროფესორი დიმიტრი კორძაია

დ. კორძაია
სხდომის თავმჯდომარე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF MEDICINE

N 31590/32
30/11/2022

31590-32-3-202211301717

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ ჯაბა სამუშიას

ბატონო ჯაბა,

წარმოგიდგენთ თსუ მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში შესატან ცვლილებებს, თსუ-ის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოების მიერ დასამტკიცებლად.

წარმოდგენილი ცვლილებები არ თხოულობს ფაკულტეტის ბიუჯეტის ზრდას.

პატივისცემით,

დიმიტრი კორძაია

დეკანი
ადმინისტრაცია

ჭიაურელის ქ. 2, 0159 თბილისი, საქართველო
2, Chiaureli Str., 0159 Tbilisi, Georgia
http://www.medicine.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 291 31 25, 2 25 13 60 Tel.
ფაქსი: +(995 32) 252 09 76 Fax.
ელ.ფოსტა: medicine@tsu.ge; E-mail

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 109/2022 28 ნოემბერი 2022წ.

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №136/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ$^{2}$“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ$^{2}$“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის 2022 წლის 2 ნოემბრის №28788/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ნოემბრის №20 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №136/2016 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ და „ა.დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.გ) პეტროლოგიის, მინერალოგიის, გეოქიმიისა და ლითოლოგიის განყოფილება;
ა.დ) ვულკანოლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის განყოფილება.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**პროფესორი ჯაბა სამუშია**
**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

N 31642/10
01/12/2022

31642-10-3-202212011353

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ$^{2}$“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №136/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ნოემბრის №109/2022 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 29725/10 09/11/2022

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5[1] პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 1 685 ერთეული წიგნის ჩამოწერის საკითხი.

დანართი: 1 ელ. ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 13 თებერვლის N17/02-01 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის

დასკვნა

ქ.თბილისი | 24 ოქტომბერი, 2022 წ.

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის მიზნით“ შექმნილი კომისიის (შემდგომში „კომისია“) მიერ განხორციელდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის 2022 წლის 21 ივნისის N14416/10 კორესპონდენციაში დაფიქსირებული, თსუ ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდების გარიცხვა/ჩამოწერის N2 აქტით ბიბლიოთეკის ფონდიდან გარიცხული (ჭარბი ეგზემპლარები, არა მოთხოვნადი) და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებიდან ჩამოსაწერი 1685 ერთეული წიგნის ვიზუალური დათვალიერება (მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან ერთად), რომლებიც ექვემდებარებოდა ჩამოწერას.

დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერას ექვემდებარება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივები - 10 დასახელების 1685 ერთეული წიგნი, ღირებულებით 7848,06 ლარი (დანართი N2).

კომისიის წევრები:

________ ლ. მჭედლიშვილი

________ ნ. კუტალაძე

________ თ. ჯღარკავა

________ გ. ტოკლიკიშვილი

კომისიის თავმჯდომარე: ------------------- /რ. გულარაშვილი/

ბ.ა.

.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის მიზნით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 13 თებერვლის N17/02-01 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის სხდომის

ოქმი

ქ. თბილისი 24 ოქტომბერი, 2022 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე: რევაზ გულარაშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ლ. მჭედლიშვილი

კომისიის წევრები: ნ. კუტალაძე, თ. ჯღარკავა, გ. ტოკლიკიშვილი.

დღის წესრიგი:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული თსუ–ს საკუთრებაში არსებული ჩამოწერას დაქვემდებარებული ძირითადი აქტივების (წიგნები) საკითხი.

სიტყვით გამოვიდა:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ქ-ნ ლიანა მჭედლიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის მიერ ადგილზე, ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერას ექვემდებარება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივები - წიგნები (1685 ერთეული - ღირებულებით 7848.06 ლარი) დანართის შესაბამისად (დანართი N2), ვინაიდან თსუ ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდების გარიცხვა/ჩამოწერის N2 აქტის საფუძველზე, წიგნები არა მოთხოვნადია და წარმოადგენენ ჭარბ ეგზემპლარებს.

კომისიამ იმსჯელა დასმულ საკითხებთან დაკავშირებით და ერთხმად დაადგინა: ჩამოწერას ექვემდებარება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივები - წიგნები (1685 ერთეული - ღირებულებით 7848.06 ლარი) და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკითხი გატანილ იქნას უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში გაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩამოწერის პროცედურების გაგრძელებისათვის საჭირო ნებართვის მოპოვების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: რევაზ გულარაშვილი

მდივანი: ნინო კუტალაძე

დანართი №2

ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (მანქანა-დანადგარებისა და სხვ.) ნარჩენი ღირებულების დადგენის

ა ქ ტ ი

2022 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებიდან ჩამოსაწერი წიგნები

| N | | ძირითადი საშუალების დასახელება | ექსპლუატაციაში შესვლის წელი | ექსპლუატაციაში ყოფნის ვადა | ღირებულება გადაფასებამდე ლარებში | ბუღალტრული ცვეთა | | ფიზიკური ცვეთა | | ნარჩენი ღირებულება გადაფასებამდე ლარებში (გრ 5-გრ 9) | გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 09.07.97 წ. № 295 ბრძანებულებით | ღირებულება გადაფასების შემდეგ ლარებში | ცვეთა ლარებში გადაფასების შემდეგ | საშოერტიზაციო ანარიცხების ნორმა ძირ. ონდის სრულ აღდგენაზე | ფაქტობრივი ცვეთა | | | | ნარჩენი ღირებულება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რიგი | სახეობის | | | | | % | ლარი | % | ლარი | | | | | | ბუღალტრული ცვეთის წლიური ნორმა % | საბოლოო ფაქტიური მდგომარეობით % | საბოლოო ბუღალტრული მდგომარეობით % | ლარებში | ლარებში | აშშ დოლარებში |
| 1 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12,00 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| 1 | 1 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 2 | 2 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 3 | 3 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 4 | 4 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 5 | 5 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 6 | 6 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 7 | 7 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 8 | 8 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 9 | 9 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 10 | 10 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 11 | 11 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 12 | 12 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 13 | 13 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 14 | 14 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 15 | 15 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 16 | 16 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 17 | 17 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 18 | 18 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ილიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19 | 19 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 20 | 20 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 21 | 21 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 22 | 22 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 23 | 23 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 24 | 24 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 25 | 25 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 26 | 26 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 27 | 27 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 28 | 28 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 29 | 29 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 30 | 30 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 31 | 31 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 32 | 32 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 33 | 33 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 34 | 34 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 35 | 35 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 36 | 36 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 37 | 37 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 38 | 38 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 39 | 39 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 40 | 40 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 41 | 41 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 42 | 42 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 43 | 43 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 44 | 44 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 45 | 45 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 46 | 46 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 47 | 47 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 48 | 48 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 49 | 49 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 50 | 50 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 51 | 51 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 52 | 52 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 53 | 53 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 54 | 54 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 55 | 55 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 56 | 56 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 57 | 57 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 58 | 58 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 59 | 59 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 60 | 60 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 61 | 61 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 62 | 62 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 63 | 63 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 64 | 64 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 65 | 65 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 66 | 66 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 67 | 67 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 68 | 68 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 69 | 69 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 70 | 70 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 71 | 71 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 72 | 72 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 73 | 73 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 74 | 74 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 75 | 75 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 76 | 76 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 77 | 77 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 78 | 78 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 79 | 79 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 80 | 80 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 81 | 81 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 9,60 | 0 | 0 | 0 | 0 | 9,60 | 0,94 | 10,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,18 | 0 |
| 82 | 1 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 83 | 2 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 84 | 3 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 85 | 4 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 86 | 5 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 87 | 6 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 88 | 7 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 89 | 8 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 90 | 9 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 91 | 10 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 92 | 11 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 93 | 12 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 94 | 13 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 95 | 14 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 96 | 15 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 97 | 16 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 98 | 17 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 99 | 18 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 100 | 19 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 101 | 20 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 102 | 21 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 103 | 22 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 104 | 23 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 105 | 24 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 106 | 25 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 107 | 26 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 108 | 27 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 109 | 28 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 110 | 29 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 111 | 30 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 112 | 31 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 113 | 32 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 114 | 33 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 115 | 34 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 116 | 35 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 117 | 36 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 118 | 37 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 119 | 38 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 120 | 39 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 121 | 40 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 122 | 41 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 123 | 42 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 124 | 43 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 125 | 44 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 126 | 45 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 127 | 46 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 128 | 47 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 129 | 48 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 130 | 49 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 131 | 50 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 132 | 51 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 133 | 52 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 134 | 53 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 135 | 54 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 136 | 55 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 137 | 56 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 138 | 57 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 139 | 58 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 140 | 59 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 141 | 60 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 142 | 61 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 143 | 62 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 144 | 63 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 145 | 64 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 146 | 65 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 147 | 66 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 148 | 67 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 149 | 68 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 150 | 69 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 151 | 70 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 152 | 71 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 153 | 72 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 154 | 73 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 155 | 74 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 156 | 75 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 157 | 76 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 158 | 77 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 159 | 78 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 160 | 79 | უმაღლესი მათემატიკა: ნაწ. II ელიზბარაშვილი, მ. | 1995 | 28 | 7,20 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,20 | 0,94 | 7,63 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7,63 | 0 |
| 161 | 1 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 162 | 2 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 163 | 3 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 164 | 4 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 165 | 5 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 166 | 6 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 167 | 7 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 168 | 8 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 169 | 9 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 170 | 10 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 171 | 11 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 172 | 12 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 173 | 13 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 174 | 14 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 175 | 15 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 176 | 16 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 177 | 17 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 178 | 18 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 179 | 19 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 180 | 20 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 181 | 21 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 182 | 22 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 183 | 23 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 184 | 24 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 185 | 25 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 186 | 26 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 187 | 27 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 188 | 28 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 189 | 29 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 190 | 30 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 191 | 31 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 192 | 32 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 193 | 33 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 194 | 34 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 195 | 35 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 196 | 36 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 197 | 37 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 198 | 38 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 199 | 39 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 200 | 40 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 201 | 41 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 202 | 42 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 203 | 43 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 204 | 44 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 205 | 45 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 206 | 46 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 207 | 47 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 208 | 48 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 209 | 49 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 210 | 50 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 211 | 51 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 212 | 52 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 213 | 53 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 214 | 54 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 215 | 55 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 216 | 56 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 217 | 57 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 218 | 58 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 219 | 59 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 220 | 60 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 221 | 61 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 222 | 62 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 223 | 63 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 224 | 64 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 225 | 65 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 226 | 66 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 227 | 67 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 228 | 68 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 229 | 69 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 230 | 70 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 231 | 71 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 232 | 72 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 233 | 73 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 234 | 74 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 235 | 75 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 236 | 76 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 237 | 77 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 238 | 78 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 239 | 79 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 240 | 80 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 241 | 81 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 242 | 82 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 243 | 83 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 244 | 84 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 245 | 85 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 246 | 86 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 247 | 87 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 248 | 88 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 249 | 89 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 250 | 90 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 251 | 91 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 252 | 92 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 253 | 93 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 254 | 94 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 255 | 95 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 256 | 96 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 257 | 97 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 258 | 98 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 259 | 99 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 260 | 100 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 261 | 101 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 262 | 102 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 263 | 103 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 264 | 104 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 265 | 105 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 266 | 106 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 267 | 107 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 268 | 108 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 269 | 109 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 270 | 110 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 271 | 111 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 272 | 112 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 273 | 113 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 274 | 114 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 275 | 115 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 276 | 116 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 277 | 117 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 278 | 118 | ეკონომიკსი კემბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 279 | 119 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 280 | 120 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 281 | 121 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 282 | 122 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 283 | 123 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 284 | 124 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 285 | 125 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 286 | 126 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 287 | 127 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 288 | 128 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 289 | 129 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 290 | 130 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 291 | 131 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 292 | 132 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 293 | 133 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 294 | 134 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 295 | 135 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 296 | 136 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 297 | 137 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 298 | 138 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 299 | 139 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 300 | 140 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 301 | 141 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 302 | 142 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 303 | 143 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 304 | 144 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 305 | 145 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 306 | 146 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 307 | 147 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 308 | 148 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 309 | 149 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 310 | 150 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 311 | 151 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 312 | 152 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 313 | 153 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 314 | 154 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 315 | 155 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 316 | 156 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 317 | 157 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 318 | 158 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 319 | 159 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 320 | 160 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 321 | 161 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 322 | 162 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 323 | 163 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 324 | 164 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 325 | 165 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 326 | 166 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 327 | 167 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 328 | 168 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 329 | 169 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 330 | 170 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 331 | 171 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 332 | 172 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 333 | 173 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 334 | 174 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 335 | 175 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 336 | 176 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 337 | 177 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 338 | 178 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 339 | 179 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 340 | 180 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 341 | 181 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 342 | 182 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 343 | 183 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 344 | 184 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 345 | 185 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 346 | 186 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 347 | 187 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 348 | 188 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 349 | 189 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 350 | 190 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 351 | 191 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 352 | 192 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 353 | 193 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 354 | 194 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 355 | 195 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 356 | 196 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 357 | 197 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 358 | 198 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 359 | 199 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 360 | 200 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 361 | 201 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 362 | 202 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 363 | 203 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 364 | 204 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 365 | 205 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 366 | 206 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 367 | 207 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 368 | 208 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 369 | 209 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 370 | 210 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 371 | 211 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 372 | 212 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 373 | 213 | ეკონომიკსი კემპბელი, რ., მაკკონელი, რ., სტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 374 | 214 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , ხტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 375 | 215 | ეკონომიკსი კემპბელი, რ. , მაკკონელი, რ. , ხტენლი, ლ. ბრიუ | 1998 | 25 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 376 | 1 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 377 | 2 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 378 | 3 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 379 | 4 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 380 | 5 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 381 | 6 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 382 | 7 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 383 | 8 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 384 | 9 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 385 | 10 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 386 | 11 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 387 | 12 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 388 | 13 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 389 | 14 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 390 | 15 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 391 | 16 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 392 | 17 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 393 | 18 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 394 | 19 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 395 | 20 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 396 | 21 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 397 | 22 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 398 | 23 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 399 | 24 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 400 | 25 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 401 | 26 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 402 | 27 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 403 | 28 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 404 | 29 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 405 | 30 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 406 | 31 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 407 | 32 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 408 | 33 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 409 | 34 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 410 | 35 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 411 | 36 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 412 | 37 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 413 | 38 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 414 | 39 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 415 | 40 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 416 | 41 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 417 | 42 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 418 | 43 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 419 | 44 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 420 | 45 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 421 | 46 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 422 | 47 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 423 | 48 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 424 | 49 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 425 | 50 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 426 | 51 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 427 | 52 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 428 | 53 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 429 | 54 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 430 | 55 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 431 | 56 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 432 | 57 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 433 | 58 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 434 | 59 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 435 | 60 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 436 | 61 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 437 | 62 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 438 | 63 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 439 | 64 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 440 | 65 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 441 | 66 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 442 | 67 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 443 | 68 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 444 | 69 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 445 | 70 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 446 | 71 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 447 | 72 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 448 | 73 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 449 | 74 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 450 | 75 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 451 | 76 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 452 | 77 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 453 | 78 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 454 | 79 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 455 | 80 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 456 | 81 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 457 | 82 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 458 | 83 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 459 | 84 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 460 | 85 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 461 | 86 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 462 | 87 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 463 | 88 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 464 | 89 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 465 | 90 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 466 | 91 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 467 | 92 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 468 | 93 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 469 | 94 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 470 | 95 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 471 | 96 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 472 | 97 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 473 | 98 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 474 | 99 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 475 | 100 | ბუღალტრული აღრიცხვის კურსი კუპრეიშვილი, ელგუჯა | 2002 | 21 | | | | | | | | 12,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12,00 | 0 |
| 476 | 1 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 477 | 2 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 478 | 3 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 479 | 4 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 480 | 5 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 481 | 6 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 482 | 7 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 483 | 8 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 484 | 9 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 485 | 10 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 486 | 11 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 487 | 12 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 488 | 13 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კველია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 489 | 14 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 490 | 15 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 491 | 16 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 492 | 17 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 493 | 18 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 494 | 19 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 495 | 20 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 496 | 21 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 497 | 22 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 498 | 23 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 499 | 24 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 500 | 25 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 501 | 26 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 502 | 27 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 503 | 28 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 504 | 29 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 505 | 30 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 506 | 31 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 507 | 32 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 508 | 33 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 509 | 34 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 510 | 35 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 511 | 36 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 512 | 37 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 513 | 38 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 514 | 39 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 515 | 40 | საქართველოს ტერიტორია და საზღვრები კვალია, ჯ. | 1996 | 27 | | | | | | | 2,12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2,12 | 0 |
| 516 | 1 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 517 | 2 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 518 | 3 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 519 | 4 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 520 | 5 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 521 | 6 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 522 | 7 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 523 | 8 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 524 | 9 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 525 | 10 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 526 | 11 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 527 | 12 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 528 | 13 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 529 | 14 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 530 | 15 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 531 | 16 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 532 | 17 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 533 | 18 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 534 | 19 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 535 | 20 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 536 | 21 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 537 | 22 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 538 | 23 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 539 | 24 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 540 | 25 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 541 | 26 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 542 | 27 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 543 | 28 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 544 | 29 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 545 | 30 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 546 | 31 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 547 | 32 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 548 | 33 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 549 | 34 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 550 | 35 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 551 | 36 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 552 | 37 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 553 | 38 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 554 | 39 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 555 | 40 | შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თევზაძე, გ. | 1996 | 27 | | | | | | | 4,24 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4,24 | 0 |
| 556 | 1 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 557 | 2 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 558 | 3 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 559 | 4 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 560 | 5 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 561 | 6 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 562 | 7 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 563 | 8 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 564 | 9 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 565 | 10 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 566 | 11 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 567 | 12 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 568 | 13 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 569 | 14 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 570 | 15 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 571 | 16 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 572 | 17 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 573 | 18 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 574 | 19 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 575 | 20 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 576 | 21 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 577 | 22 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 578 | 23 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 579 | 24 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 580 | 25 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 581 | 26 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 582 | 27 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 583 | 28 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 584 | 29 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 585 | 30 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 586 | 31 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 587 | 32 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 588 | 33 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 589 | 34 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 590 | 35 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 591 | 36 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 592 | 37 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 593 | 38 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 594 | 39 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 595 | 40 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 596 | 41 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 597 | 42 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 598 | 43 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 599 | 44 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 600 | 45 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 601 | 46 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 602 | 47 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 603 | 48 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 604 | 49 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 605 | 50 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 606 | 51 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 607 | 52 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 608 | 53 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 609 | 54 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 610 | 55 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 611 | 56 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 612 | 57 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 613 | 58 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 614 | 59 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 615 | 60 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 616 | 61 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 617 | 62 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 618 | 63 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 619 | 64 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 620 | 65 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 621 | 66 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 622 | 67 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 623 | 68 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 624 | 69 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 625 | 70 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 626 | 71 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 627 | 72 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 628 | 73 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 629 | 74 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 630 | 75 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 631 | 76 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 632 | 77 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 633 | 78 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 634 | 79 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 635 | 80 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 636 | 81 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 637 | 82 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 638 | 83 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 639 | 84 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 640 | 85 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 641 | 86 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 642 | 87 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 643 | 88 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 644 | 89 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 645 | 1 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 646 | 2 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 647 | 3 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 648 | 4 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 649 | 5 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 650 | 6 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 651 | 7 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 652 | 8 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 653 | 9 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 654 | 10 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 655 | 11 | ორგანულ ნივთიერებათა ქიმია და ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია, ნაწ. I მიქაძე, შ. | 1996 | 27 | | | | | | | | 3,18 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3,18 | 0 |
| 656 | 1 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 657 | 2 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 658 | 3 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 659 | 4 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 660 | 5 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 661 | 6 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 662 | 7 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 663 | 8 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 664 | 9 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 665 | 10 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 666 | 11 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 667 | 12 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 668 | 13 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 669 | 14 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 670 | 15 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 671 | 16 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 672 | 17 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 673 | 18 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 674 | 19 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 675 | 20 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 676 | 21 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 677 | 22 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 678 | 23 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 679 | 24 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 680 | 25 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 681 | 26 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 682 | 27 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 683 | 28 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 684 | 29 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 685 | 30 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 686 | 31 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 687 | 32 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 688 | 33 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 689 | 34 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 690 | 35 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 691 | 36 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 692 | 37 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 693 | 38 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 694 | 39 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 695 | 40 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 696 | 41 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 697 | 42 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 698 | 43 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 699 | 44 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 700 | 45 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 701 | 46 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 702 | 47 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 703 | 48 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 704 | 49 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 705 | 50 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 706 | 51 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 707 | 52 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 708 | 53 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 709 | 54 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 710 | 55 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 711 | 56 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 712 | 57 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 713 | 58 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 714 | 59 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 715 | 60 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 716 | 61 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 717 | 62 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 718 | 63 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 719 | 64 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 720 | 65 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 721 | 66 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 722 | 67 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 723 | 68 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 724 | 69 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 725 | 70 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 726 | 71 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 727 | 72 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 728 | 73 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 729 | 74 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 730 | 75 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 731 | 76 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 732 | 77 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 733 | 78 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 734 | 79 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 735 | 80 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 736 | 81 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 737 | 82 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 738 | 83 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 739 | 84 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 740 | 85 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 741 | 86 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 742 | 87 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 743 | 88 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 744 | 89 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 745 | 90 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 746 | 91 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 747 | 92 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 748 | 93 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 749 | 94 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 750 | 95 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 751 | 96 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 752 | 97 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 753 | 98 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 754 | 99 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 755 | 100 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 756 | 101 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 757 | 102 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 758 | 103 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 759 | 104 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 760 | 105 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 761 | 106 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 762 | 107 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 763 | 108 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 764 | 109 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 765 | 110 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 766 | 111 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 767 | 112 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 768 | 113 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 769 | 114 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 770 | 115 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 771 | 116 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 772 | 117 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 773 | 118 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 774 | 119 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 775 | 120 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 776 | 121 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 777 | 122 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 778 | 123 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 779 | 124 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 780 | 125 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 781 | 126 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 782 | 127 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 783 | 128 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 784 | 129 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 785 | 130 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 786 | 131 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 787 | 132 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 788 | 133 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 789 | 134 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 790 | 135 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 791 | 136 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 792 | 137 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 793 | 138 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 794 | 139 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 795 | 140 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 796 | 141 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 797 | 142 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 798 | 143 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 799 | 144 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 800 | 145 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 801 | 146 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 802 | 147 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 803 | 148 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 804 | 149 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 805 | 150 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 806 | 151 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 807 | 152 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 808 | 153 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 809 | 154 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 810 | 155 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 811 | 156 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 812 | 157 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 813 | 158 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 814 | 159 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 815 | 160 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 816 | 161 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 817 | 162 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 818 | 163 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 819 | 164 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 820 | 165 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 821 | 166 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 822 | 167 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 823 | 168 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 824 | 169 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 825 | 170 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 826 | 171 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 827 | 172 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 828 | 173 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 829 | 174 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 830 | 175 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 831 | 176 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 832 | 177 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 833 | 178 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 834 | 179 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 835 | 180 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 836 | 181 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 837 | 182 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 838 | 183 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 839 | 184 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 840 | 185 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 841 | 186 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 842 | 187 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 843 | 188 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 844 | 189 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 845 | 190 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 846 | 191 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 847 | 192 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 848 | 193 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 849 | 194 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 850 | 195 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 851 | 196 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 852 | 197 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 853 | 198 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 854 | 199 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 855 | 200 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 856 | 201 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 857 | 202 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 858 | 203 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 859 | 204 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 860 | 205 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 861 | 206 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 862 | 207 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 863 | 208 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 864 | 209 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 865 | 210 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 866 | 211 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 867 | 212 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 868 | 213 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 869 | 214 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 870 | 215 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 871 | 216 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 872 | 217 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 873 | 218 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 874 | 219 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 875 | 220 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 876 | 221 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 877 | 222 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 878 | 223 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 879 | 224 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 880 | 225 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 881 | 226 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 882 | 227 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 883 | 228 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 884 | 229 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 885 | 230 | გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება მაღლაკელიძე, თამაზ | 1999 | 24 | | | | | | | | 10,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10,00 | 0 |
| 886 | 1 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 887 | 2 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 888 | 3 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 889 | 4 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 890 | 5 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 891 | 6 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 892 | 7 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 893 | 8 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 894 | 9 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 895 | 10 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 896 | 11 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 897 | 12 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 898 | 13 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 899 | 14 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 900 | 15 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 901 | 16 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 902 | 17 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 903 | 18 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 904 | 19 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 905 | 20 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 906 | 21 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 907 | 22 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 908 | 23 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 909 | 24 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 910 | 25 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 911 | 26 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 912 | 27 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 913 | 28 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 914 | 29 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 915 | 30 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 916 | 31 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 917 | 32 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 918 | 33 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 919 | 34 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 920 | 35 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 921 | 36 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 922 | 37 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 923 | 38 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 924 | 39 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 925 | 40 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 926 | 41 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 927 | 42 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 928 | 43 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 929 | 44 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 930 | 45 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 931 | 46 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 932 | 47 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 933 | 48 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 934 | 49 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 935 | 50 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 936 | 51 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 937 | 52 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 938 | 53 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 939 | 54 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 940 | 55 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 941 | 56 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 942 | 57 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 943 | 58 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 944 | 59 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 945 | 60 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 946 | 61 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 947 | 62 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 948 | 63 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 949 | 64 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 950 | 65 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 951 | 66 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 952 | 67 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 953 | 68 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 954 | 69 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 955 | 70 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 956 | 71 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 957 | 72 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 958 | 73 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 959 | 74 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 960 | 75 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 961 | 76 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 962 | 77 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 963 | 78 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 964 | 79 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 965 | 80 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 966 | 81 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 967 | 82 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 968 | 83 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 969 | 84 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 970 | 85 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 971 | 86 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 972 | 87 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 973 | 88 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 974 | 89 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 975 | 90 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 976 | 91 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 977 | 92 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 978 | 93 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 979 | 94 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 980 | 95 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 981 | 96 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 982 | 97 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 983 | 98 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 984 | 99 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 985 | 100 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 986 | 101 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 987 | 102 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 988 | 103 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 989 | 104 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 990 | 105 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 991 | 106 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 992 | 107 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 993 | 108 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 994 | 109 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 995 | 110 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 996 | 111 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 997 | 112 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 998 | 113 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 999 | 114 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1000 | 115 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1001 | 116 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1002 | 117 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1003 | 118 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1004 | 119 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1005 | 120 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1006 | 121 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1007 | 122 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1008 | 123 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1009 | 124 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1010 | 125 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1011 | 126 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1012 | 127 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1013 | 128 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1014 | 129 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1015 | 130 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1016 | 131 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1017 | 132 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1018 | 133 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1019 | 134 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1020 | 135 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1021 | 136 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1022 | 137 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1023 | 138 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1024 | 139 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1025 | 140 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1026 | 141 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1027 | 142 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1028 | 143 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1029 | 144 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1030 | 145 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1031 | 146 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1032 | 147 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1033 | 148 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1034 | 149 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1035 | 150 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1036 | 151 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1037 | 152 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1038 | 153 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1039 | 154 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1040 | 155 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1041 | 156 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1042 | 157 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1043 | 158 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1044 | 159 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1045 | 160 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1046 | 161 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1047 | 162 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1048 | 163 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1049 | 164 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1050 | 165 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1051 | 166 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1052 | 167 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1053 | 168 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1054 | 169 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1055 | 170 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1056 | 171 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1057 | 172 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1058 | 173 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1059 | 174 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1060 | 175 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1061 | 176 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1062 | 177 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1063 | 178 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1064 | 179 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1065 | 180 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1066 | 181 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1067 | 182 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1068 | 183 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1069 | 184 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1070 | 185 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1071 | 186 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1072 | 187 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1073 | 188 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1074 | 189 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1075 | 190 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1076 | 191 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1077 | 192 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1078 | 193 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1079 | 194 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1080 | 195 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1081 | 196 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1082 | 197 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1083 | 198 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1084 | 199 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1085 | 200 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1086 | 201 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1087 | 202 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1088 | 203 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1089 | 204 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1090 | 205 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1091 | 206 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1092 | 207 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1093 | 208 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1094 | 209 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1095 | 210 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1096 | 211 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1097 | 212 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1098 | 213 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1099 | 214 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1100 | 215 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1101 | 216 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1102 | 217 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1103 | 218 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1104 | 219 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1105 | 220 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1106 | 221 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1107 | 222 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1108 | 223 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1109 | 224 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1110 | 225 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1111 | 226 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1112 | 227 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1113 | 228 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1114 | 229 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1115 | 230 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1116 | 231 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1117 | 232 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1118 | 233 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1119 | 234 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1120 | 235 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1121 | 236 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1122 | 237 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1123 | 238 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1124 | 239 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1125 | 240 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1126 | 241 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1127 | 242 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1128 | 243 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1129 | 244 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1130 | 245 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1131 | 246 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1132 | 247 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1133 | 248 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1134 | 249 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1135 | 250 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1136 | 251 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1137 | 252 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1138 | 253 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1139 | 254 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1140 | 255 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1141 | 256 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1142 | 257 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1143 | 258 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1144 | 259 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1145 | 260 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1146 | 261 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1147 | 262 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1148 | 263 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1149 | 264 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1150 | 265 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1151 | 266 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1152 | 267 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1153 | 268 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1154 | 269 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1155 | 270 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1156 | 271 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1157 | 272 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1158 | 273 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1159 | 274 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1160 | 275 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1161 | 276 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1162 | 277 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1163 | 278 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1164 | 279 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1165 | 280 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1166 | 281 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1167 | 282 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1168 | 283 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1169 | 284 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1170 | 285 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1171 | 286 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1172 | 287 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1173 | 288 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1174 | 289 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1175 | 290 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1176 | 291 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1177 | 292 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1178 | 293 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1179 | 294 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1180 | 295 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1181 | 296 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1182 | 297 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1183 | 298 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1184 | 299 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1185 | 300 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1186 | 301 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1187 | 302 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1188 | 303 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1189 | 304 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1190 | 305 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1191 | 306 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1192 | 307 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1193 | 308 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1194 | 309 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1195 | 310 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1196 | 311 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1197 | 312 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1198 | 313 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1199 | 314 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1200 | 315 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1201 | 316 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1202 | 317 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1203 | 318 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1204 | 319 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1205 | 320 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1206 | 321 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1207 | 322 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1208 | 323 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1209 | 324 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1210 | 325 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1211 | 326 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1212 | 327 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1213 | 328 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1214 | 329 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1215 | 330 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1216 | 331 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1217 | 332 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1218 | 333 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1219 | 334 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1220 | 335 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1221 | 336 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1222 | 337 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1223 | 338 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1224 | 339 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1225 | 340 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1226 | 341 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1227 | 342 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1228 | 343 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1229 | 344 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1230 | 345 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1231 | 346 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1232 | 347 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1233 | 348 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1234 | 349 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1235 | 350 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1236 | 351 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1237 | 352 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1238 | 353 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1239 | 354 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1240 | 355 | პოლიტიკური ეკონომია | 1986 | 37 | 1,70 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,70 | 6,10 | 0,28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,28 | 0 |
| 1241 | 1 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1242 | 2 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1243 | 3 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1244 | 4 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1245 | 5 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1246 | 6 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1247 | 7 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1248 | 8 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1249 | 9 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1250 | 10 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1251 | 11 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1252 | 12 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1253 | 13 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1254 | 14 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1255 | 15 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1256 | 16 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1257 | 17 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1258 | 18 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1259 | 19 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1260 | 20 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1261 | 21 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1262 | 22 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1263 | 23 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1264 | 24 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1265 | 25 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1266 | 26 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1267 | 27 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1268 | 28 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1269 | 29 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1270 | 30 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1271 | 31 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1272 | 32 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1273 | 33 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1274 | 34 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1275 | 35 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1276 | 36 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1277 | 37 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1278 | 38 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1279 | 39 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1280 | 40 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1281 | 41 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1282 | 42 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1283 | 43 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1284 | 44 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1285 | 45 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1286 | 46 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1287 | 47 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1288 | 48 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1289 | 49 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1290 | 50 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1291 | 51 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1292 | 52 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1293 | 53 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1294 | 54 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1295 | 55 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1296 | 56 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1297 | 57 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1298 | 58 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1299 | 59 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1300 | 60 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1301 | 61 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1302 | 62 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1303 | 63 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1304 | 64 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1305 | 65 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1306 | 66 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1307 | 67 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1308 | 68 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1309 | 69 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1310 | 70 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1311 | 71 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1312 | 72 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1313 | 73 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1314 | 74 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1315 | 75 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1316 | 76 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1317 | 77 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1318 | 78 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1319 | 79 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1320 | 80 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1321 | 81 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1322 | 82 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1323 | 83 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1324 | 84 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1325 | 85 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1326 | 86 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1327 | 87 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1328 | 88 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1329 | 89 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1330 | 90 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1331 | 91 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1332 | 92 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1333 | 93 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1334 | 94 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1335 | 95 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1336 | 96 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1337 | 97 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1338 | 98 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1339 | 99 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1340 | 100 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1341 | 101 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1342 | 102 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1343 | 103 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1344 | 104 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1345 | 105 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1346 | 106 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1347 | 107 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1348 | 108 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1349 | 109 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1350 | 110 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1351 | 111 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1352 | 112 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1353 | 113 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1354 | 114 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1355 | 115 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1356 | 116 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1357 | 117 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1358 | 118 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1359 | 119 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1360 | 120 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1361 | 121 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1362 | 122 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1363 | 123 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1364 | 124 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1365 | 125 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1366 | 126 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1367 | 127 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1368 | 128 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1369 | 129 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1370 | 130 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1371 | 131 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1372 | 132 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1373 | 133 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1374 | 134 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1375 | 135 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1376 | 136 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1377 | 137 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1378 | 138 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1379 | 139 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1380 | 140 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1381 | 141 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1382 | 142 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1383 | 143 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1384 | 144 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1385 | 145 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1386 | 146 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1387 | 147 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1388 | 148 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1389 | 149 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1390 | 150 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1391 | 151 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1392 | 152 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1393 | 153 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1394 | 154 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1395 | 155 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1396 | 156 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1397 | 157 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1398 | 158 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1399 | 159 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1400 | 160 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1401 | 161 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1402 | 162 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1403 | 163 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1404 | 164 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1405 | 165 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1406 | 166 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1407 | 167 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1408 | 168 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1409 | 169 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1410 | 170 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1411 | 171 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1412 | 172 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1413 | 173 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1414 | 174 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1415 | 175 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1416 | 176 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1417 | 177 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1418 | 178 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1419 | 179 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1420 | 180 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1421 | 181 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1422 | 182 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1423 | 183 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1424 | 184 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1425 | 185 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1426 | 186 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1427 | 187 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1428 | 188 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1429 | 189 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1430 | 190 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1431 | 191 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1432 | 192 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1433 | 193 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1434 | 194 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1435 | 195 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1436 | 196 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1437 | 197 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1438 | 198 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1439 | 199 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1440 | 200 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1441 | 201 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1442 | 202 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1443 | 203 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1444 | 204 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1445 | 205 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1446 | 206 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1447 | 207 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1448 | 208 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1449 | 209 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1450 | 210 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1451 | 211 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1452 | 212 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1453 | 213 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1454 | 214 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1455 | 215 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1456 | 216 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1457 | 217 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1458 | 218 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1459 | 219 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1460 | 220 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1461 | 221 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1462 | 222 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1463 | 223 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1464 | 224 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1465 | 225 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1466 | 226 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1467 | 227 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1468 | 228 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1469 | 229 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1470 | 230 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1471 | 231 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1472 | 232 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1473 | 233 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1474 | 234 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1475 | 235 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1476 | 236 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1477 | 237 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1478 | 238 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1479 | 239 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1480 | 240 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1481 | 241 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1482 | 242 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1483 | 243 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1484 | 244 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1485 | 245 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1486 | 246 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1487 | 247 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1488 | 248 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1489 | 249 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1490 | 250 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1491 | 251 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1492 | 252 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1493 | 253 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1494 | 254 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1495 | 255 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1496 | 256 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1497 | 257 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1498 | 258 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1499 | 259 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1500 | 260 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1501 | 261 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1502 | 262 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1503 | 263 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1504 | 264 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1505 | 265 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1506 | 266 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1507 | 267 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1508 | 268 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1509 | 269 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1510 | 270 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1511 | 271 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1512 | 272 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1513 | 273 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1514 | 274 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1515 | 275 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1516 | 276 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1517 | 277 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1518 | 278 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1519 | 279 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1520 | 280 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1521 | 281 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1522 | 282 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1523 | 283 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1524 | 284 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1525 | 285 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1526 | 286 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1527 | 287 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1528 | 288 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1529 | 289 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1530 | 290 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1531 | 291 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1532 | 292 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1533 | 293 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1534 | 294 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1535 | 295 | მეცნიერული კომუნიზმი | 1980 | 43 | 1,40 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,40 | 6,10 | 0,23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,23 | 0 |
| 1536 | 1 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1537 | 2 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1538 | 3 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1539 | 4 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1540 | 5 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1541 | 6 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1542 | 7 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1543 | 8 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1544 | 9 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1545 | 10 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1546 | 11 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1547 | 12 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1548 | 13 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1549 | 14 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1550 | 15 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1551 | 16 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1552 | 17 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1553 | 18 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1554 | 19 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1555 | 20 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1556 | 21 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1557 | 22 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1558 | 23 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1559 | 24 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1560 | 25 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1561 | 26 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1562 | 27 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1563 | 28 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1564 | 29 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1565 | 30 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1566 | 31 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1567 | 32 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1568 | 33 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1569 | 34 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1570 | 35 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1571 | 36 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1572 | 37 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1573 | 38 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1574 | 39 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1575 | 40 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1576 | 41 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1577 | 42 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1578 | 43 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1579 | 44 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1580 | 45 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1581 | 46 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1582 | 47 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1583 | 48 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1584 | 49 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1585 | 50 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1586 | 51 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1587 | 52 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1588 | 53 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1589 | 54 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1590 | 55 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1591 | 56 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1592 | 57 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1593 | 58 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1594 | 59 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1595 | 60 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1596 | 61 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1597 | 62 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1598 | 63 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1599 | 64 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1600 | 65 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1601 | 66 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1602 | 67 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1603 | 68 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1604 | 69 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1605 | 70 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1606 | 71 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1607 | 72 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1608 | 73 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1609 | 74 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1610 | 75 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1611 | 76 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1612 | 77 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1613 | 78 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1614 | 79 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1615 | 80 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1616 | 81 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1617 | 82 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1618 | 83 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1619 | 84 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1620 | 85 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1621 | 86 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1622 | 87 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1623 | 88 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1624 | 89 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1625 | 90 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1626 | 91 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1627 | 92 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1628 | 93 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1629 | 94 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1630 | 95 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1631 | 96 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1632 | 97 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1633 | 98 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1634 | 99 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1635 | 100 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ. საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1636 | 101 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1637 | 102 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1638 | 103 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1639 | 104 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1640 | 105 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1641 | 106 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1642 | 107 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1643 | 108 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1644 | 109 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1645 | 110 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1646 | 111 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1647 | 112 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1648 | 113 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1649 | 114 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1650 | 115 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1651 | 116 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1652 | 117 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1653 | 118 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1654 | 119 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1655 | 120 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1656 | 121 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1657 | 122 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1658 | 123 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1659 | 124 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1660 | 125 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1661 | 126 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1662 | 127 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1663 | 128 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1664 | 129 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1665 | 130 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1666 | 131 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1667 | 132 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1668 | 133 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1669 | 134 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1670 | 135 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1671 | 136 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1672 | 137 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1673 | 138 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1674 | 139 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1675 | 140 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1676 | 141 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1677 | 142 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1678 | 143 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1679 | 144 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1680 | 145 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1681 | 146 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1682 | 147 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1683 | 148 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1684 | 149 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |
| 1685 | 150 | სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია ვარენიკი, ე. ი. კაპიტანოვი, ი. დ. მაკეევი, ვ. ნ, საველიევი, პ. პ. | 1982 | 41 | 1,30 | 0 | 0 | 0 | 0 | 1,30 | 6,10 | 0,21 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,21 | 0 |

წევრები: ლ. მჭედლიშვილი

ნ. კუტალაძე

თ. ჯღარკავა

გ. ტოკლიკიშვილი

ვამტკიცებ:

კომისიის თავმჯდომარე:

რ. გულარაშვილი

N 29703/10 09/11/2022

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს
ბატონ ლაშა საღინაძეს

ამავე უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის,
„სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების
ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის მიზნით კომისიის შექმნის
შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 13 თებერვლის
№17/02-01 ბრძანებით შექმნილი კომისიის თავმჯდომარის რევაზ გულარაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ლაშა,

მოგახსენებთ, რომ განსახილველად გადმომეცა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის 2022 წლის 21 ივნისის N14416/10 კორესპონდენცია, რომელიც ეხება საბიბლიოთეკო საბჭოს გადაწყვეტილებით საბიბლიოთეკო ფონდებიდან გარიცხულ-ჩამოწერილი წიგნების, (აქტი N2 14.11.2018) სულ 1 685 ერთეული, ჩამოწერას.

გაცნობებთ, რომ „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 13 თებერვლის №17/02-01 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ განახორციელა ჩამოსაწერი აქტივების ვიზუალური დათვალიერება, იმსჯელა და მიიღო ხსენებული წიგნების ჩამოწერის გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც შედგა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული დასკვნა, ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი (ფორმა №2) და კომისიის სხდომის ოქმი.

წარმოგიდგენთ ზემოხსენებულ დოკუმენტაციას და თქვენი თანხმობის შემთხვევაში მომზადდება შესაბამისი კორესპონდენცია, საკითხის უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოზე განხილვის მიზნით.

დანართი: 1 ელექტრონული ფაილი.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე,

რევაზ გულარაშვილი

მთავარი სპეციალისტი, I კატეგორია
იურიდიული დეპარტამენტი